საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის

ბრძანება №23886
2014 წლის 11 სექტემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2010 წლის პირველი დეკემბრის №205 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2010 წლის პირველი დეკემბრის №205 ბრძანებით (სსმ, 158, 03/12/2010 წ., სარეგისტრაციო კოდი 010320010.42.047.016002) დამტკიცებულ „საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შინაგანაწესში" შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-4 პუნქტი:

„4. სამსახურის თანამშრომლებს, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ დასაცავი ობიექტების ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში ოპერატორის ან საშვთა ბიუროს ინსპექტორის თანამდებობაზე, დაუდგინდეთ შესაბამის ობიექტში მოქმედი სამუშაო დროის რეჟიმი.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი — **თეიმურაზ მღებრიშვილი**